საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის
საკითხთა კომისია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ჩაქვი, ბ. მეგენეიშვილის ქ. №25

__/__/____
N _____

000000-00-0-000000000000

ა ნ გ ა რ ი შ ი

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომისიის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ

(01.09.2016 - 01.09.2017 წწ)

2017 წელი

ა ნ გ ა რ ი შ ი

კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებების შესახებ

კომისიის საქმიანობის ძირითად მიმართულებად განსაზღვრული იქნა საკანონმდებლო საქმიანობა, წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება :

- აგრარული და სასურსათო სექტორის განვითარება,
- გარემოს დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენება ,
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება ,

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის შესრულებაზე კონტროლის განხორციელება

  განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ვეკიდებით:
- ამომრჩევლებთან შეხვედრებს,მოქალაქეთა მიღებას, მათი წინადადებებისა და განცხადებების განხილვას

კომისიის მიერ გაწეული საქმიანობა,ძირითადი მიმართულებების მიხედვით

აგრარული და გარემოს დაცვის საკითხთა კომისია თავის საქმიანობაში განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა აგრარულ-სასურსათო სექტორის ცალკეული დარგების განვითარებასა და აგროსერვისის ერთიანი სამსახურის ფორმირების ხელშეწყობას, ფერმერთა და აგრომეწარმეთა სწავლება-კონსულტირებას

კომისიას აქტიური საქმიანი ურთიერთობა აქვს სამინისტროსა და შესაბამის სამსახურებთან, ერთობლივად განიხილება ცალკეული დარგებისა და ძირითადი მიმართულებების განვითარების პრობლემები.

კომისიის სხდომებზე მოსმენილი იქნა ინფორმაციები სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქმიანობის ძირითადი მიმართულებების, სურსათის უვნებლობის,ვეტერინარიისა და მცენარეთა დაცვის,

საგაზაფხულო სამუშაოების მიმდინარეობის, ციტრუსოვანთა ნაყოფის დამზადების სეზონისთვის მზადების, აგროსევისის ერთიანი სამსახურის ფორმირების მიმდინარეობის და სხვა საკითხებზე.

კომისია აქტიურად მონაწილეობდა სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიზნობრივი პროგრამების განხილვასა და მონიტორინგში. კომისიაში მომზადებულია არა ერთი წინადადება და შენიშვნა, რომლებიც ასახული იქნა მიზნობრივი პროგრამების საბოლოო დოკუმენტში.

კომისიის სხდომებზე განიხილებოდა შესაბამისი ინფორმაციები მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამების შესრულების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ ჩამოყალიბდა ციტრუსოვანთა ნაყოფისა და ხეხილის შესყიდვა-რეალიზაციის და გადამუშავების ერთიანი ინფრასტრუქტურა.

.

გარემოს დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების ხელშეწყობის საკითხები

კომისია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა გარემოს დაცვის გაძლიერებისა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენების,

ბიომრავალფეროვნებისა და გარემოს ინტეგრირებული მართვის, ტყის მდგრადი მართვისა და დაცვის გაძლიერების ხელშეწყობის მიზნით ღონისძიებების განხორციელებას და ამ მხრივ აქტიურად თანამშრომლობს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილების გაზრდის, სახელმწიფო აღმასრულებელ ორგანოებთან ურთიერთობის კოორდინაციის გაუმჯობესების ხელშეწყობა

კომისია თანამშრომლობს მუნიციპალიტეტების თვითმმართველობის ორგანოებთან მოსახლეობის მიერ დასმული სხვადასხვა საკითხების, განცხადებებისა და წინადადბების სამთავრობო უწყებებთან ერთობლივი განხილვისა და გადაწყვეტის საქმეში.

ერთობლივი საქმიანობის შედეგად გადაწყვეტილი იქნა სხვადასხვა სოფლებში შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაციის, ავტობანის მშენებლობასთან დაკავშირებით და მიწათსარგებლობის საკითხები, დასაქმების, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საკითხებთან დაკავშირებული არაერთი საკითხი.

კომისია თავის საქმიანობაში ყურადღებას უთმობდა თავისი კომპეტენციის ფარგლებში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიუციპალიტეტებში მიზნობრივი პროგრამების შესრულების მიმდინარეობაზე კონტროლს.

კომისიის ჩართულობით მომზადებულიიქნა შემდეგი კანონპროექტები:

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი „საქართველოს კონსტიტუციის 67-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტების „გრანტების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს პარლამენტში წარდგენის თაობაზე“ (№09-01-08/50, 27.07.2017წ.).

მოქალაქეთა მიღება და განცხადებების განხილვა

- საანგარიშო პერიოდში კომისიაში მიღებაზე იმყოფებოდა - 133 მოქალაქე
- კომისიაში შემოვიდა- მოქალაქეთა 20 განცხადება.

კომისიაში განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა მოქალაქეთა მიღებას და განცხადებების განხილვას. მათ მიეწოდებოდა ამომწურავი

სამართლებრივად დასაბუთებული რეკომენდაციები პრობლემის გადაწყვეტისათვის განსახორციელებელ ქმედებებთან დაკავშირებით.

აღმასრულებელი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების წარმომადგენლებთან აქტიური თანამშრომლობით დადებითად იქნა გადაწყვეტილი არაერთი პრობლემური საკითხი.

კომისიის სხდომების შესახებ

საანგარიშო პერიოდში კომისიაში ჩატარებული იქნა 15 სხდომა, კომისიის სხდომებზე განხილული იქნა 26 საკითხი.

საქმისწარმოების შესახებ

კომისიაში მიღებული იქნა სულ ; 230 კორესპონდენცია,მათ შორის:

1.საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციიდან და პარლამენტის აპარატიდან შემოსული კორესპონდენციების რაოდენობა - 11

2. საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო უწყებებიდან, დაწესებულებებიდან, არასამთავრობო, კომერციული და სხვა ორგანიზაციებიდა შემოსული კორესპონდენციების რაოდენობა - 54

3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია-კომისიებიდან და აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან შემოსული კორესპონდენციების რაოდენობა - 144

4. კომისიიდან გასული კორესპონდენცია -სულ 92

მონაწილეობა სამეცნიერო კონფერენციებში

კომისიის წევრები მონაწილეობდნენ 7 სამეცნიერო კონფერენციაში.

ჩემს მიერ წარმოდგენილი იქნა მოკლე ანოტაცია,რომელშიც ასახული იქნა კომისიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებები.

კომისიის ანგარიშში ასახულია ფაქტიურად ჩვენი ყოველდღიური საქმიანობის შედეგები.

პატივისცემით,

ვახტანგ წულაძე

კომისიის თავმჯდომარე